



საქართველოს უნივერსიტეტი

ჯანმრთელობის მეცნიერების სკოლა

სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

ხელნაწერის უფლებებით

ეკა კოხრეიძე

**„აქტიური ტუბერკულოზის განვითარების საწინააღმდეგო
პრევენციული მკურნალობის ეფექტიანობის ეპიდემიოლოგიური
ანალიზი“**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

ავტორეფერატი

სპეციალობა - 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა

თბილისი

2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა:

სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ამირან გამყრელიძე, Ph.D.

სადოქტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი - თამარ გოდერიძე, Ph.D.

სადოქტორო თემის სამეცნიერო თანახელმძღვანელი - მაია ბუწაშვილი, Ph.D.

სადოქტორო თემის შიდა ექსპერტი - ზაზა ავალიანი, Ph.D.

სადოქტორო თემის შიდა ექსპერტი - თინათინ ბერუჩაშვილი, Ph.D.

სადოქტორო თემის მოწვეული ექსპერტი - მაია ჟამუტაშვილი, Ph.D.

სადოქტორო თემის მოწვეული ექსპერტი - მარინა კიკვიძე, Ph.D.

დისერტაციის დაცვა შედგება: 2025 წლის 11 ივლისს

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77ა, # აუდიტორია 519

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2025/20/06

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ნათია მანჯიკაშვილი

1. თემის აქტუალობა, საკვლევი საკითხი

შესავალი

ტუბერკულოზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ბოლო მონაცემებით შემხვევათა რაოდენობა 10 მილიონს აჭარბებს, ხოლო გარდაცვალების მაჩვენებელი 1 მილიონამდე მერყეობს. აქტიური ტუბერკულოზის მიღმა, ვხვდებით ლატენტური ტუბერკულოზის ფორმას, რომელის სკრინინგი და მკურნალობა ტუბერკულოზის დამარცხების გზაზე წამყვანი კომპონენტია.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2023 წლის მონაცემებით, მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 23%-ს ტუბერკულოზური ლატენტური ინფექცია (LTBI)⁽¹⁾ აქვს, რომელთა სიცოცხლის განმავლობაში აქტიური ტუბერკულოზის განვითარების რისკი 10-15%-ს შეადგენს⁽²⁾. ამასთან, LTBI ბავშვები, ზრდასრულებთან შედარებით აქტიური ტუბერკულოზის განვითარების გაზრდილი რისკის ქვეშ არიან⁽³⁾. ლატენტური ტუბერკულოზის დიაგნოზტიკა კანის ტესტითა (მანტუს სინჯი) და ან ინტერფერონ-გამას მეშვეობით სრულდება. შემთხვევათა ძიების პროცესში განსაკუთრებული როლი უჭირავს კონტაქტების მოძიებას, რაც გულისხმობს აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის შემთხვევაში, პაციენტის ახლო კონტაქტების ტბ-დაწესებულებაში დაბარებას და მათ დიაგნოზტიკას. როგორც კი აქტიური ტუბერკულოზის გამორიცხული იქნება კონტაქტებში, მას მერე ეწევით პირებს პრევენციული მკურნალობის ჩატარებაზე რეკომენდაცია. მკურნალობის რეჟიმები და მიდგომები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. კერძოდ, 2020 წლამდე საქართველოში სამიზნე პოპულაციად მხოლოდ 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები და აივ-დადებითი პირები მიიჩნეოდნენ. მათ ეწეოდათ რეკომენდაცია 6 თვიანი იზონიაზიდით (6INH) მკურნალობაზე. თავისთავად მკურნალობის ხანგრძლივობა ქმნის რიგ გამოწვევებს და ხშირად მისი შეწყვეტის მიზეზიც ხდება. წინამდებარე კვლევა, „ფილტვის აქტიური ტუბერკულოზით დაავადებულებთან კონტაქტის მქონე ბავშვების პრევენციული მკურნალობის შეფასება“, ფოგარტის პროგრამის ფარგლებში 2019 წლის ბოლოს დასრულდა, აღნიშნული კვლევა 2012-2014 წლების მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა. შედეგები საკმაოდ კრიტიკული არმოჩნდა. 0-დან 5 წლამდე ასაკის 172 ბავშვიდან, 48-ამ (28%) დაიწყო მკურნალობა და 16-მა (9%) დაასრულა მკურნალობის სრული კურსი. მიდევნების 3-5 წლის განმავლობაში, აქტიური ტუბერკულოზი 4 (4%) კონტაქტს განუვითარდა, რომელთაგან 3 კონტაქტს არ ჰქონდა მკურნალობა ინიცირებული და 1-მა შეწყვიტა მკურნალობა.

2020 წლიდან ჯანმომ შეიმუშავა ახალი მიდგომა პრევენციულ მკურნალობაზე, რაც გულისხმობს პირებს, რომელთან ჰქონდათ აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პირთა კონტაქტი (ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფი რეკომენდებულია პროფილაქტიკურ მკურნალობაზე) და სხვადასხვა რისკ-ჯგუფის პაციენტები; აივ-დადებითი, ორგანოს ტრანსპლანტაციის წინა პერიოდი, ანტი-TNF მკურნალობის წინა პერიოდი გაწეით რეკომენდაცია ლატენტური ტუბერკულოზის პრევენციის მიზნით მკურნალობაზე. მკურნალობის რეჟიმი ეროვნულ ტუბერკულოზის პროგრამებზეა დამოკიდებული.⁽¹⁾ საქართველო, როგორც ერთ-ერთი ჯანმოს პარტნიორი ქვეყანა, ითვალისწინებს მის მიდგომებს და შესაბამისად 2020 წლის მარტიდან განახორციელა ეროვნული პროგრამის ცვლილება. ახალი რეჟიმები გულისხმობს შემცირებულ სამკურნალო დროს; 6 თვიანი იზონიაზიდით მკურნალობა ჩანაცვლდა 3 თვიანი რიფაპენტინით 2 წლიდან ასაკის პირებში. ასევე მოიხსნა შეზღუდვა ასაკობრივ ჯგუფზე; ნებისმიერი ასაკის პირი რეკომენდებულია მკურნალობაზე. და მესამე-დამატა ეზისტენტული ტუბერკულოზის კონტაქტების მკურნალობა, რაც გულისხმობს 6 თვიან ლევოფლოქსაცინით პრევენციულ მკურნალობას.

აღნიშნული რეკომენდაციების მიუხედავად, ლატენტური ტუბერკულოზის მქონე ბავშვებში და მოზრდილებშიც პრევენციული მკურნალობის ინიცირება და მკურნალობის დასრულების მაჩვენებელი თვალსაჩინოდ დაბალია. განსაკუთრებით კი, დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში.

მსოფლიოს მიდგომა ტუბერკულოზისადმი „დავასრულოთ ტუბერკულოზი“ 2035 წლისათვის მსოფლიოს ახალი შემთხვევების 90%-ით შემცირებას ისახავს მიზნად. შესაბამისად ტუბერკულოზის განვითარების პრევენციამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დარგში. საქართველოში ამ დრომდე ლატენტური ტუბერკულოზის მიმართულებით მხოლოდ ერთი, კვლევაა განხორციელებული, რაც თავისთავად სამეცნიერო ნაშრომთა სიმცირეზე და მის აქტუალობაზე მიუთითებს. ^{(4), (5)}

2. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო ახალ პრევენციულ სამკურნალო რეჟიმების პროსპექტული და რეტროსპექტული შესწავლა და დაკვირვება მკურნალობის დაწყების, მკურნალობაზე დამყოლობის, შეწყვეტის და გვერდითი ეფექტების შესასწავლად თბილისში, გურჯაანში, რუსთავში, ქუთაისსა და გორში.

კვლევის მეორე მიზანია გამოავლინოს კვლევის პირებში შემდგომში აქტიური ტუბერკულოზის შემთხვევები და შეისწავლოს თუ რომელი საკვლევი ჯგუფიდან იქნება უფრო მაღალი გამოვლენის მაჩვენებელი, ექსპოზიციის მქონე თუ არაექსპოზირებული ჯგუფებიდან.

1. კვლევის პირველი ამოცანაა აქტიური ტუბერკულოზის მქონე პირთა კონტაქტებში პრევენციული მკურნალობის რეჟიმის მკურნალობის დაწყების, დამყოლობის, გვერდით მოვლენების და პრევენციული მკურნალობის დასრულების შესწავლა.
2. განხორციელდა ყველა პრევენციულ მკურნალობაზე რეკომენდებული პირის სამედიცინო ისტორიის შესწავლა და მონაცემთა შეგროვება კლინიკური ჩართვის ფორმის მეშვეობით.
3. მეორე ამოცანა მიზეზთა გამოვლენაა იმ პირებში, რომლებმაც უარყვეს ან და შეწყვეტეს პრევენციული მკურნალობა.
4. მეოთხე ამოცანაა აქტიური ტუბერკულოზის შემთხვევათა გამოვლენა, რომელიც განხორციელდება ტუბერკულოზის ეროვნული ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის გამოყენებით, სადაც თავს იქყრი ქვეყნის მსშტაბით ყველა აქტიური ტუბერკულოზის მქონე პირთა მონაცემები.
5. მონაცემების შეგროვების შემდეგ მისი სტატისტიკური ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება.

პირველადი გამოსავალი, ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებში, პრევენციული მკურნალობის დაწყების, დასრულებისა და გვერდითი მოვლენების მაჩვენებელი.

მეორე გამოსავალი, მკურნალობაზე რეკომენდებული პირების მიდევნება 2 წლის განმავლობაში აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით.

3. სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა

1. საქართველოში პირველად ჩატარდა ტუბერკულოზის 3 თვიან პრევენციული მკურნალობის თემაზე სამეცნიერო კვლევა. მკურნალობის რეჟიმების სიახლიდან გამომდინარე მსოფლიო მსშტაბით არ გაქვს ჯერ საკმარისი რაოდენობის გამოქვეყნებები.
2. გამომდინარე პირველი პუნქტიდან რიფაპენტინის გავერდითი მოვლენების და ეფექტიანობის შესახებ მონაცემები წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს საქართველოში. წინამდებარე კვლევა სწავლობდა იზონიაზიდის ეფექტიანობას.
3. კვლევის შედეგად არსებობს მონაცემები იმის შესახებ თუ როგორია პრევენციული მკურნალობის ინიციატივის, მკურნალობაზე დამყოლობის და მისი დასრულების

მაჩვენებელი. აშკარაა, რომ მკურნალობის ინიცირების სიმცირეს ვაწყდებით. გარდა ამისა, კიდევ უფრო დაბალია მკურნალობის დასრულების მაჩვენებელი.

4. კვლევამ გამოავლინა 6 აქტიური ტუბერკულოზის შემთხვევა, რომელიც რეკომენდაციის უარყოფის შემდეგ 1 წლიანი მიდევნების განმავლობაში განვითარდა.
5. კვლევა ვერ ავლენს ვერცერთ პირს, რომელთაც გაეწიათ რეკომენდაცია, დაიწყეს და დაასრულეს მკურნალობა, არამედ მხოლოდ მათ ვინც უგულვებელყო პრევენცია.
6. შესწავლილი პოპულაციიდან ჩანს, რომ მათ არ მიაჩნიათ საჭიროთ პრევენციული მკურნალობის ჩატარება, რადგან დიაგნოზი „აქტიური ტუბერკულოზი“ არ კლინდება.

4. ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება 94 გვერდისგან, რომელიც მოიცავს 6 ძირითად თავს. შესავალი, ლიტერატურული მიმოხილვა, მეთოდები, შედეგები, დისკუსია და დასკვნა/რეკომენდაციები. ნაშრომში შეტანილია 6 ცხვილი და 4 ფიგურა. დანართების სახით იგზავნება 3 პუბლიკაცია, ავტორეფერატი და კითხვარი.

5. აპრობაცია

1. სამეცნიერო ნაშრომის შუალედური შედეგები წარდგენილ იქნა - “16th Scientific Symposium on the occasion of World Tuberculosis Day 2024”-ზე. (oral presentation) (Berlin, Germany)
2. სამეცნიერო ნაშრომის საბოლოო შედეგები წარდგენილ იქნა - 17th European Public Health Conference 2024 “Sailing the waves of European public health: exploring a sea of innovation” 2024 წლის ნოემბერში. (oral presentation) (Lisbon, Portugal)
3. კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა Cost Action-ის ყოველწლიურ შეხვედრაზე 20-21 მაისი, ბელგრადი, სერბეთი.
4. სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნდა International Journal for Tuberculosis and Lung Disease –
Low preventive treatment initiation and completion among young children contacts of active TB in Tbilisi, Georgia.
Kokhreidze E, Kempker RR, Tukvadze N, Schechter MC, Avaliani Z, Blumberg HM, Butsashvili M, Lomtadze N.
IJTLD Open. 2025 Apr 9;2(4):230–234. doi: 10.5588/ijtldopen.24.0594. eCollection 2025 Apr. PMID: 40226137
5. სამეცნიერო სტატია მიღებულიაCaucasus Journal of Health Science and Public Health-ში.
6. ჩატარდა საჯარო ლექცია საქართველოს უნივერსიტეტში თემაზე „ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიური მიმოხილვა საქართველოში“
7. ჩატარდა მეორე საჯარო ლექცია საქართველოს უნივერსიტეტში თემაზე „ლატენტული ტუბერკულოზი საქართველოში“

დისერტაცია მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, ხუთ დანართს და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს. დისერტაცია დაწერილია 156 გვერდზე, APA სტილის დაცვით. ნაშრომში შეტანილია 6 ცხრილი და 12 გრაფიკული ნახატი. გამოყენებული ლიტერატურის რაოდენობა 104.

კვლევის მეთოდოლოგია

განცორციელდა კომბინირებული პროსპექტულ/რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა. კვლევამ შეისწავლა თბილისის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში (ტფდევ) პრევენციული მკურნალობის იმპლემენტაცია, გარდა თბილისის სამიზნე არეალი გახლდათ 4 ტბ-დაწესებულება; გურჯაანის, რუსთავის, გორის და ქუთაისის. სამიზნე ჯგუფი აქტიური ტუბერკულოზის მქონე პაციენტთა, ნებისმიერი ასაკისა და სხვა რისკ-ჯგუფებში (აივ პაციენტები, დიალიზზე მყოფი პაციენტები, ორგანოგადანერგილი პაციენტები, კიბოთი დაავადებული პაციენტები, რომლებსაც TNF-alpha-თი ჩაუტარდა მკურნალობა) მყოფი პირები იქნება. კვლევაში ასევე ჩართულია გორის, რუსთავის, გურჯაანის და ქუთაისის ტუბერკულოზის დისპანსერები.

TB კონტაქტების მოძიებას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის (NCDC) ეპიდემიოლოგები და TB ექიმები ახორციელებენ. ეპიდემიოლოგები, 2019 წლამდე, აქტიური ტუბერკულოზით დაავადებული ოჯახის წევრების სიმპტომებს ბინაზე ვიზიტის დროს აფასებდნენ. TB სკრინინგისთვის TB ექიმებთან კი, მხოლოდ სიმპტომების მქონე პირებს ამისამრთებდნენ. პარალელურად ფთიზიატრები, ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს მათი ოჯახის წევრებისა და ახლო კონტაქტების მოყვანას სთხოვონ გამოკვლევებისთვის. პირი, რომელსაც პირველი ვიზიტის შემდეგ აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზი გამოეჩინებოდა, ეწევა რეკომენდაცია შესაბამისი რეჟიმის მიხედვით პრევენციული მკურნალობის ჩტარებაზე.

მონაცემთა შეგროვება

კვლევაში ჩართული ინიდივდებისათვის კვლევის გუნდმა შეიმუშავა მონაცემთა შეგროვების კლინიკური შემთხვევის ფორმა (CRF), რომელიც შევსებული იქნა მკურნალი ექიმის მიერ. აღნიშნული ფორმა შედგება სტრუქტურირებული კითხვებისაგან და მოიცავს კითხვებს შემდეგ საკითხებზე:

1. სოციო-დემოგრაფიული
2. ზოგადი სამედიცინო ისტორია
3. წარსულში პრევენციული მკურნალობის შესახებ ინფორმაციას
4. აქტიური პრევენციული მკურნალობის შესახებ ინფორმაციას
5. ჩატარებული სადიაგნოსტიკო კვლევები
6. ინდექს-პაციენტის ისტორია
7. მკურნალობის მიმდინარეობა
8. აქტიური ტუბერკულოზის განვითარება

პირი, რომელსაც ესმება აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზი მის ირგვლივ ხორციელდება ახლო კონტაქტების შესწავლა სკრინინგის მიზნით, რათა დროულად იქნას დასმული სხვა პირებშიც დიაგნოზი. მას შემდეგ რაც გამოირიცხება აქტიური დიაგნოზი, კონტაქტებს ეწევათ რეკომენდაცია პრევენციული მკურნალობის ჩტარებაზე. თითოეული კვლევაში ჩართული პირი, რომელიც თანხმდება პრევენციულ მკურნალობას, დაბარებულია პირად ექიმთან ყოველთვირად დამატებითი კლინიკური შეფასებისა და ანალიზებისათვის. აღნიშნული ვიზიტებზე, პარალელურად ხორციელდება მონაცემთა შეგროვება. ვიზიტთა რაოდენობა დამოკიდებულია მკურნალობის რეჟიმის ხარნგრძლიოვაზე, იქნება

ეს 6 თვიანი ზონიზანტით მკურნალობა (INH), 3 თვიანი რიფამპინით (3PH) თუ 6 თვიანი ლევოფლოქსაცინით (6 Lfx). კლინიკური შემტხვევის ფორმების მყარი ვერსიიდან მათი ელექტრონულად ასახვა შესრულდა RED Cap-ის ელექტრონულ ბაზაში. საიდანაც მონაცემთა ექსპორტირება მოხდა SPSS-ში მისი შემდგომი ანალიზისთვის.

ეთიკური საკითხები

კვლევის პროტოკოლი და ყველა კვლევისთვის საჭირო დოკუმენტაცია დარეგისტრირებულ იქნა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ლოკალური ეთიკურ კომიტეტში. მხოლოდ მიღებული დასტურის შემდეგ განხორციელდა კვლევის ინიცირება.

ყველა მონაცემთა ფორმა ინახება მკურნალი ექიმების პირად კაბინეტები, დაცულად და საიმედოდ. კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ კვლევის გუნდს.

სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამა SPSS-ში აღწერილობითი და დასკვნითი ანალიზის გამოყენებით. ამისათვის გამოვიყენეთ Chi-square tests და T-tests

6. მიღებული შედეგები

დესკრიპტული ანალიზი

გაანალიზდა კონტაქტების დემოგრაფიული და კლინიკური მახასიათებლები ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის (NTP) ფარგლებში და შეაფასა მათი მონაწილეობა ტუბერკულოზის პრევენციულ მკურნალობაში (TPT). ცხრილი 1. ნაჩვენებია მონაცემთა აღწერითი შედეგები. სულ 678 მონაწილიდან ანალიზი ჩატარდა 611 კონტაქტის მონაცემებზე. 48 მონაწილის მონაცემები არასრულად იყო მოპოვებული. 19 მონაწილე გამოირიცხა სტატისტიკური ანალიზიდან პირველდ ვიზიტზე ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის საფუძველზე. 611 მონაწილეს შორის მდებრობითი სქესს შეადგენდა 55,3%-ს, ხოლო მამაკაცები 44,7%-ს. გეოგრაფიულად, კახეთში მონაწილეთა ყველაზე მაღალი წილი (34.2%) იყო, შემდეგი იყო იმერეთი (21.6%), ქვემო ქართლი (17.0%), NCTLD (14.7%) და შიდა ქართლი (12.4%).

ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, მოზრდილები შეადგენდნენ უმრავლესობას (57.6%), ხოლო 5-18 წლის ბავშვები და 5 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენდნენ შესაბამისად 28.7% და 13.5%. კონტაქტების უმრავლესობა იყო ოჯახის წევრები (81.1%), 76.0% ცხოვრობდა იმავე ოჯახში, სადაც ტუბერკულოზის ინდექსის პაციენტი. 26.9% იყო სხვა კონტაქტები, როგორიცაა ნათესავი, მეზობლები და ან თანამშრომელი.

TST (ტუბერკულინის კანის ტესტი) ჩატარდა კონტაქტების 51.0%-ში, ტესტირებულთა 44.6%-მა აჩვენა დადებითი შედეგი (>10მმ). ყველა კონტაქტს შორის, 74.5% იყო რეკომენდებული TPT-ისთვის, 65.0% დაიწყო მკურნალობა და 47.0%-მა დაასრულა. მთლიანი კოჰორტისთვის 21.0%-მა დაასრულა პრევენციული მკურნალობა. ანალიზმა აჩვენა, რომ მამაკაცებს ჰქონდათ TPT-ის შესრულების უფრო მაღალი მაჩვენებელი (58.0%), ვიდრე ქალებს (42.0%).

270 ინდექსის შემთხვევიდან 127 იყო კულტურა და DST დადებითი. DS-TB შემთხვევის 5 კონტაქტი მკურნალობდა 6INH-ით, 143 3PH-ით და 24 MDR-TB ინდექსი-შემთხვევიდან 6 მკურნალობდა 6Lfx რეჟიმით.

ცხრილი 1.

კატეგორია	აბსოლუტური რიცხვები	%
სქესი		
მდედობითი	338	55.3
მამრობითი	273	44.7
გეოგრაფიული გადანაწილება		
თბილისი	90`	14.7
კახეთი	209	34.2
იმერეთი	132	21.6
ქვემო ქართლი	104	17.0
შიდა ქართლი	76	12.4
ასაკობრივი კატეგორია		
ბავშვები (<5 years)	83	13.5
ბავშვები (5-18 years)	176	28.7
ზრდასრულები	352	57.6
კონტაქტის ტიპი		
ოჯახის წევრი	454	81.1
ცხოვრობენ ერთად	447	76.0
სხვა კონტაქტები(ნათსავი, მეზობელი, თანამშრომელი)	164	26.9
კანის ტესტი TST¹		
TST შესრულდა	304	51.0
TST დადებითი (>10mm)	128	44.6
ტუბერკულოზის პრევენციული მკურნალობა TPT²		

რეკომენდაცია TPT-ზე	439	74.5
TPT-ის დაწყება	275	65.0 (რეკომენდებულითაგან)
TPT-ის დასრულება	131	47.0 (+TPT) / 21.0 (ყველა)
TPT დასრულება სქესის მიხედვით		
მდედრობითი	55	42.0
მამრობითი	76	58.0

¹-TST tuberculin skin test

²- TPT tuberculosis preventive treatment

ანალიტიკური სტატისტიკა

TPT-ის დაწყების მაჩვენებლები ფართოდ განსხვავდებოდა რეგიონებში ($p < 0.001$). დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შიდა ქართლში (52.6%) და თბილისში (44.4%), ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთში (10.5%). ეს ხაზს უსვამს არსებით განსხვავებებს პროგრამების მიღებაში, რაც პოტენციურად გავლენას ახდენს ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობისა და პროგრამის განხორციელების რეგიონულ უთანასწორობაზე.

დასრულების მაჩვენებლები მათ შორის, ვინც დაიწყო TPT ასევე მნიშვნელოვნად განსხვავებულია ($p = 0.006$). შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იმერეთს ჰქონდა (96.4%), შემდეგ კახეთი (87.5%) და ქვემო ქართლი (88.9%). ამის საპირისპიროდ, თბილისს ჰქონდა დასრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (60.0%), მიუხედავად დაწყების შედარებით მაღალი მაჩვენებლისა. (იხ. ცხრილი 2.)

ცხრილი 2.

		TPT დაწყება		სულ	ზი-კვადრატი
		არა	კი		
იმერეთი	აბს.	92	40	132	
	%რეგიონში	69.7%	30.3%	100.0%	
კახეთი	% TPT+	20.7%	24.1%	21.6%	
	აბს.	187	22	209	
ქვემო ქართლი	%რეგიონში	89.5%	10.5%	100.0%	
	% TPT+	42.0%	13.3%	34.2%	
	აბს.	80	24	104	
	%რეგიონში	76.9%	23.1%	100.0%	
%TPT+		18.0%	14.5%	17.0%	
შიდა ქართლი აბს.		36	40	76	

%რეგიონში		47.4 %	52.6%	100.0 %	
% TPT+		8.1%	24.1%	12.4%	
თბილისი	აბს.	50	40	90	
%რეგიონში		55.6 %	44.4%	100.0 %	
% TPT+		11.2%	24.1%	14.7%	
სულ	აბს.	445	166	611	
	% რეგიონში	72.8 %	27.2%	100.0 %	69.267
	%TPT+	100.0 %	100.0%	100.0 %	(.000)
		TPT დასრულება		სულ	ბი-კვადრატი
		არა	კი		
იმერეთი	აბს.	1	27	28	
	% რეგიონში	3.6%	96.4%	100.0 %	
	% TPT+	4.2%	25.2%	21.4%	
		2	14	16	
კახეთი	აბს.	12.5%	87.5%	100.0 %	
	% რეგიონში	8.3%	13.1%	12.2%	
	% TPT+				
ქვემო ქართლი		2	16	18	
	% რეგიონში	11.1%	88.9%	100.0 %	
	%TPT+	8.3%	15.0%	13.7%	
	აბს.	7	32	39	
	%რეგიონში	17.9%	82.1%	100.0 %	
	%TPT+	29.2 %	29.9%	29.8%	
	აბს.	12	18	30	
	%რეგიონში	40.0 %	60.0%	100.0 %	
	%TPT+	50.0 %	16.8%	22.9%	
სულ	აბს.	24	107	131	
	%რეგიონში	18.3%	81.7%	100.0 %	
	%TPT+	100.0 %	100.0 %	100.0 %	14.484 (.006)

ცხრილი 3. მიუთითებს, რომ TPT-ის დაწყების ალბათობა მნიშვნელოვნად იცვლებოდა კონტაქტის ტიპის მიხედვით ($p=0.010$). მონაწილეთა უმეტესობას ჰქონდა კონტაქტი ოჯახის წევრებთან, სადაც 28.2%-მა დაიწყო TPT, რაც შეადგენს ყველა ინიციაციის 89.5%-ს. ამის საპირისპიროდ, დაწყების დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა ბავშვებს შორის ნათესავებთან (20.4%), მეზობლებთან (12.5%) და თანაკლასელებთან ან თანამშრომლებთან (6.8%) კონტაქტით. მიუხედავად მათი მცირე წარმომადგენლობისა, არა-ოჯახური კონტაქტები ხაზს უსვამს TPT-ის არასაკმარისი გამოყენების საკითხს.

მათ შორის, ვინც დაიწყო TPT, დასრულების მაჩვენებლები მუდმივად მაღალი იყო ყველა სახის კონტაქტის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებების გარეშე ($p=0.706$). მონაწილეებმა, რომლებიც იყვნენ ტბ-პაციენტის ოჯახის წევრები, დაასრულეს TPT 78.0%-ით, რამაც ასევე წვლილი შეიტანა მთლიანი დასრულებების მაჩვენებლის უმრავლესობაში (87.6%). სხვა საკონტაქტო ჯგუფები, როგორიცაა ნათესავები, მეზობლები და თანაკლასელები, ასევე აჩვენებს მკურნალობის დასრულების მაღალი მაჩვენებლები (88.9-100%), თუმცა არაოჯახური კონტაქტების რაოდენობა შედარებით მცირე იყო კვლევაში.

ცხრილი 3.


		TPT დაწყება		სულ	ბი-კვადრატი
		არა	კი		
ოჯახის წევრი	აბს.	326	128	454	
	% კონტაქტებში	71.8%	28.2%	100.0%	
	% TPT+	78.2%	89.5%	81.1%	
	ნათესავი/აბს.	43	11	54	
მეზობელი	აბს.	7	1	8	
	% კონტაქტებში	87.5%	12.5%	100.0%	
	% TPT+	1.7%	.7%	1.4%	
	თანამშრომელი/კლასელი	41	3	44	
სულ	აბს.	417	143	560	11.266 (.010)
	% კონტაქტებში	74.5%	25.5%	100.0%	
	% TPT+	100.0%	100.0%	100.0%	
		%	%		
		TPT დასრულება		სულ	ბი-კვადრატი
		არა	კი		
ოჯახის წევრი	აბს.	22	78	100	
		22.0%	78.0	100.0%	

ნათესავი აბს.	%კონტაქტებში %TPT+	95.7%	% 87.6 %	89.3%	
		1	8	9	
მეზობელი	%კონტაქტებში %TPT+	11.1%	88.9 %	100.0%	
		4.3%	9.0%	8.0%	
თანამშრომელი/კ ლასელი		0	1	1	
	აბს.	.0%	100.0 %	100.0%	
	%კონტაქტებში %TPT+	.0%	1.1%	.9%	
		0	2	2	
	აბს.	.0%	100.0 %	100.0%	
	%კონტაქტებში %TPT+	.0%	2.2%	1.8%	
სულ	აბს.	23	89	112	1.39 (.706)
	%კონტაქტებში	20.5%	79.5 %	100.0%	
	%TPT+	100.0%	100.0 %	100.0%	

ანალიზი, რათა დაინახოს კავშირი ერთსა და იმავე ოჯახში მცხოვრები ინდექსის შემთხვევების კონტაქტებსა და TST-ის დადებით შედეგებს შორის, აჩვენებს ძალიან მნიშვნელოვან ასოციაციას $OR=3$ ($95\%CI=1.6-5.14$. P -მნიშვნელობა <0.001).


საქართველოს ტუბერკულოზის ეროვნულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ბოლო ძიება განხორციელდა 2024 წლის სექტემბერში. 2 წლის პერიოდის მიდევნების განმავლობაში სულ 6 მონაწილეს განუვითარდა აქტიური ტუბერკულოზი. ყველა შემთხვევა იყო არა-TPT ჯგუფიდან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრევენციული მკურნალობის მნიშვნელოვნებას.

სურათი 1.




¹ატდ - აქტიური ტუბერკულოზის დიაგნოზი

ფიგურა 2 ასახავს განსხვავებას რეგიონების მიხედვით პრევენციული მკურნალობის დაწყების და დასრულების თვლსაჩინოების მიზნით.



ფიგურა 3. ასახავს წარუმატებლობის პრევენციული მკურნალობის მიზეზებს. კვლევის პირების 40% პროცენტი თვითნებურად წყვეტს პრევენციულ მკურნალობას.

ფიგურა 3.



დასკვნები

1. პრევენციული მკურნალობის ინიცირების მაჩვენებელი დაბალია. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მხოლოდ 65% იმ პირებისა, ვისაც პრევენციული მკურნალობა ეწეოდათ რეკომენდაციად, რეალურად დაიწყო მკურნალობა. ეს მაჩვენებელი მიუთითებს სისტემურ და სოციალურ ბარიერებზე, მათ შორის ინფორმირებულობის

დეფიციტზე, სამედიცინო პერსონალის დატვირთულობაზე და პაციენტების შიშზე მკურნალობის გვერდითი ეფექტების მიმართ. აღნიშნული ტენდენცია სერიოზულ ზიანს აყენებს ტუბერკულოზის პრევენციის ეროვნულ სტრატეგიას.

2. მკურნალობის დასრულების მაჩვენებელი უფრო დაბალია. მკურნალობა დაასრულა მხოლოდ 21%-მა იმ პირებიდან, ვინც პრევენციულ მკურნალობაზე რეკომენდაციას დაექვემდებარა. მკურნალობის შეწყვეტის მიზეზებად სახელდება რეჟიმის ხანგრძლივობა, გვერდითი მოვლენები და მოტივაციის დაქვეითება. აღნიშნული მაჩვენებელი ხაზს უსვამს საჭიროებას, გაუმჯობესდეს პაციენტზე ორიენტირებული მიდგომები.
3. აქტიური ტუბერკულოზის შემთხვევები დაფიქსირდა მხოლოდ მკურნალობის გარეშე დარჩენილ ჯგუფში მიდევნების 2 წლის განმავლობაში ყველა 6 შემთხვევა აქტიური ტუბერკულოზისა დაფიქსირდა იმ პირებში, რომლებმაც არ დაიწყეს პრევენციული მკურნალობა. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა პრევენციული მკურნალობის ეფექტიანობა ტუბერკულოზის პრევენციაში.
4. კონტაქტის ტიპსა და ოჯახში ცხოვრებას აქვს გავლენა მკურნალობაზე. ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ინდექს პაციენტთან ერთად ცხოვრობს, უფრო მაღალი ჰქონდა როგორც პრევენციული მკურნალობის დაწყების, ისე მისი დასრულების მაჩვენებელი. სავარაუდოა, რომ ყოველდღიური კონტაქტი და ინფორმაციის გაზიარება იწვევს უკეთეს მოტივაციას და ჩართულობას.
5. რეგიონებს შორის შეინიშნება სერიოზული სხვაობა. ინიცირების და დასრულების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონის მიხედვით. მაგალითად, შიდა ქართლში TPT ინიცირების მაჩვენებელი იყო 52.6%, ხოლო კახეთში მხოლოდ 10.5%. ეს უთანასწორობა მიუთითებს ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისა და პროგრამის შესრულების ეფექტიანობის რეგიონულ დიფერენციაციაზე.
6. კვლევის ფარგლებში არც ერთ პაციენტს, რომელმაც დაიწყო და დაასრულა მკურნალობა, არ განუვითარდა აქტიური ტუბერკულოზი. ეს დასკვნა ხაზს უსვამს პრევენციული მკურნალობის გავლენიანობას და ადასტურებს მის ადგილს გლობალურ სტრატეგიაში.

პრაქტიკული მნიშვნელობა

პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები

1. საქართველოში დაფიქსირდა ტბ-კონტაქტების მოძიების მაღალი აქტიურობა პრევენციული მკურნალობის რეკომენდაციის მიზნით, თუმცა ინიცირების მაჩვენებელი რჩება დაბალი.
2. მოკლერე ჟიმების (3PH/3HR) ფართომასშტაბირება და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომები ხელს შეუწყობს TPT-ის გაფართოებას.

3. აუცილებელია შესაბამისი მედპერსონალის გადამზადება, კონტაქტების ეფექტური გამოვლენა და რეალურ დროში მონაცემთა მონიტორინგი.

რეკომენდაციები:

1. გააქტიურდეს კონტაქტების და სხვა რისკ ჯგუფების გამოვლენა და რეკომენდაციის სისტემა.
2. მოკლე რეჟიმები გახდეს სტანდარტული არჩევანი.
3. განვავითარდეს პაციენტზე ორიენტირებული და დეცენტრალიზებული სერვისები მკურნალობის ინიცირების, დამყოლობის და დასრულების ზრდის მიზნით.
4. დაინერგოს ციფრული მხარდაჭერის საშუალებები (SMS, ტელემედიცინა), ისე როგორც აქტიური ტუბერკულოზის მკურნალობის პროგრამაშია ინტეგრირებული VOT/DOT.
5. განმტკიცდეს დოკუმენტაციის და რეგიონული მონიტორინგის მექანიზმები.

რეკომენდაციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დარგში

1. რისკ-ჯგუფების აქტიური გამოვლენა და გადამისამართება:
უზრუნველყოს რისკ-ჯგუფების (ტბ-კონტაქტები, იმუნოკომპრომეტირებული პირები, თავშესაფრებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირები და სხვ.) აქტიური მოძიება და მათი დროული გადამისამართება შესაბამის ტუბერკულოზის მართვის დაწესებულებებში.
2. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია:
მხარდაჭერილ იქნას ტელემედიცინის, მობილური აპლიკაციებისა და ციფრული ჯანმრთელობის პლატფორმების დანერგვა რისკ-ჯგუფებთან კომუნიკაციის, მონიტორინგის და მკურნალობის ადჰერენციის გასაუმჯობესებლად.
3. საგანმანათლებლო კამპანიების გაძლიერება:
დაინერგოს რეგულარული საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელს შეუწყობს ლატენტური და აქტიური ტუბერკულოზის, ასევე პრევენციული მკურნალობის მნიშვნელობის შესახებ ცოდნის ამაღლებას.

4. ჯანმრთელობის პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება:
განხორციელდეს ტუბერკულოზის მართვაში ჩართული მედიცინის პერსონალის
რეგულარული გადამზადება და სერტიფიცირება თანამედროვე გაიდლაინებისა და
საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები:

1. International Journal for Tuberculosis and Lung Disease –
Low preventive treatment initiation and completion among young children contacts of
active TB in Tbilisi, Georgia.
Kokhreidze E, Kempker RR, Tukvadze N, Schechter MC, Avaliani Z, Blumberg HM,
Butsashvili M, Lomtadze N.
IJTLD Open. 2025 Apr 9;2(4):230–234. Doi: 10.5588/ijtldopen.24.0594. eCollection 2025
Apr. PMID: 40226137
2. Caucasus Journal of Health Sciences and Public Health.
Evaluation of Tuberculosis Preventive Treatment Initiation, Adherence and Completion
in Country of Georgia
Published 2025-05-20. Vol. 6 No. 1 (2025)
Eka Kokhreidze+, Zaza Avaliani+, Timo Ulrichs+, Hani Nasr+, Maia Butsashvili+,
Tamar Goderidze+
3. Abstract book – Advanced TB actual meeting – current topics of TB and pulmonary
mycobacteriosis: from immunity to diagnostic approach. Eka Kohreidze, Zaza Avaliani.
4. Observation on Tuberculosis Preventive Treatment in Georgia.
Proceedings of 8th Socratic Lectures 2023.
Kokhreidze Eka^{1,2}, Avaliani Zaza^{1,2}, Gabashvili Nino^{1,2}, Zamutashvili Maia^{1,3} 1.



University of Georgia

School of Health Sciences

PhD Program in Public Health

With manuscript rights

Eka Kokhreidze

"Epidemiological analysis of the effectiveness of preventive treatment against the development of active tuberculosis"

Abstract of the thesis submitted for the academic degree of Doctor of Public
Health

Field - 0904 –Public Health

Tbilisi,

2025

The dissertation was completed at the School of Health Sciences, University of Georgia.

Composition of the Dissertation Council:

Chairman of the Scientific Advisory Council - Amiran Gamkrelidze, Ph.D.

Scientific Supervisor of the Doctoral Team - Tamar Goderidze, Ph.D.

Scientific Co-Supervisor of the Doctoral Team - Maya Butsashvili, Ph.D.

Expert of the Doctoral Team - Zaza Avaliani, Ph.D.

External Opponent -

External Opponent –

External Opponent -

The dissertation defense will take place on year/month/date;

Address: Tbilisi, 77a Kostava str., # Auditorium 519

The dissertation can be viewed at the University of Georgia Library. The dissertation bulletin was sent on year/month/date;

Secretary of the Dissertation Council: Natia Manjikashvili

1. INTRODUCTION

A key component of the END TB Strategy is to prevent new tuberculosis (TB) cases through TB preventive treatment (TPT) (1). Implementing this intervention is critical given that the World Health Organization (WHO) estimates a quarter of the global population has latent tuberculosis infection (LTBI) thus serving as a large reservoir for incident TB cases (2). Historically, due to limited resources and inadequate tools, high burden countries have focused on diagnosing and treating active TB cases with a lower priority placed on LTBI. In 2022, an estimated 13 million (95% UI: 12–13 million) household contacts of bacteriologically confirmed pulmonary TB cases were identified globally. However, only 8.9 million were reported, a 14% increase from 7.9 million in 2021. Among these, 7.1 million (80%) were evaluated for TB infection and disease, a 12% rise from 6.4 million in 2021, with evaluation rates varying widely across countries.. Globally, 1.9 million contacts received TPT in 2022, representing 21% of the 8.9 million reported and 15% of the 13 million estimated. Substantial variation existed across countries in the percentages of contacts evaluated and those provided with TPT (3)(4).

Since 2015, the country of Georgia no longer belongs to the high burden countries; however, the number of drug resistant TB cases remains the major problem. According to the WHO in 2023 the number of TB cases in Georgia was 1 448. Only 13% of contacts from all TB index cases initiated TB preventive treatment (TPT) (5,6). Tuberculosis Preventive Treatment (TPT) is a strategy to prevent the progression from latent tuberculosis infection (LTBI) to active TB disease in individuals at high risk. It is a cornerstone of TB control efforts and a critical part of the World Health Organization's End TB Strategy. TPT primarily targets groups such as people living with HIV, household contacts of TB patients, and individuals with compromised immune systems. TPT includes various regimens, such as daily or weekly combinations of rifampicin or rifapentine with Isoniazid, which range from one to six months in duration. (7,8) Preventive

treatment is currently the only option that protects people in risk groups from developing active tuberculosis in the future. Effect of available TB preventive treatment ranges between 60–90% worldwide. (9)

Georgia follows WHO's recommendations and updates national TB strategy based on the newest recommendation. Until 2020 TPT was recommended only for two prioritized groups of people, HIV positive patients and children aged 0–5, who were close contacts of bacteriologically confirmed drug sensitive (DS-TB) TB cases. TPT regimen was 6INH (6-month Isoniazid treatment). Previous study results showed a very low rate of TPT initiation and completion, in addition 4 children among 135 who were recommended for TPT developed an active TB in one year of period. All children were from the group which did not initiate the preventive treatment (10).

After March of 2020 the strategy of TPT was updated based on WHO's guidance, which means all contact persons of active TB cases in any age are recommended to start TPT: not only the contacts of DS-TB patients, but MDR-TB cases were also included. In addition, treatment regimen 6INH is replaced with 3PH (3-month rifapentine) for DS contacts and 6lfx (6-month levofloxacin) – for MDR contacts. Beside this, targets of recommendation were widened. Risk groups such as – (1) HIV positive people, who are initiating anti-TNF treatment; (2) receiving dialysis, (3) preparing for an organ or (4) hematological transplant, (5) who have silicosis should be systematically tested and treated for LTBI (11).

After the mentioned reform, it became important to study this issue. According to the National Tuberculosis Program of Georgia (NTP) we aimed evaluating the LTBI care cascade among people who are recommended for TPT at the National Center for Tuberculosis and Lung Disease in four regions of Georgia such as: Kakheti, Kvemo Kartli, Shida Kartli and Imereti.

2. Research Aim and Objectives

The primary aim of this study was to prospectively and retrospectively evaluate newly introduced preventive treatment regimens for latent tuberculosis infection (LTBI), with particular focus on treatment initiation, adherence, discontinuation, and adverse events. The study was conducted in five Georgian cities: Tbilisi, Gurjaani, Rustavi, Kutaisi, and Gori.

The second objective was to identify the development of active tuberculosis among study participants during follow-up and assess whether the incidence of active TB was higher among exposed versus unexposed groups.

Research objectives:

1. To examine the initiation, adherence, side effects, and completion rates of preventive TB treatment among contacts of individuals with active tuberculosis.
